

თეატრი და სხვადასხვა

დათვრთ "სალიფრატორ" აქრნალო

შაბათი, 9 იანვარი

№ 2 - 1916

იხ. ამავე ნომერში ს. შვა-
დობლიშვილის



ნინო ნაკაშიძე
"ნაკაღული"-ს რედაქტორი



მ ი დემურია (+ქ1910 წ იანვარში)

ქართულ მწერალ-მადეაწე-
თა წერილები")



თავ პ. ი თუმანიშვილი
"ნაკაღული"-ს გამომცემელი

1916 მიწვევა ხელის მოწერა 1916

უცვლელკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათმზიანნიჭურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წალიწადი
მართხა

„თეატრი და სხობრება“

წალიწადი გამოცემისა მართხა

წლიწად
6 მან.
ნახ. წლ.
3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელობევილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა
ყურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევე 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ნენენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნორგებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მდათოვის კუჩხი № 1, ვორცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисть, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

სახალხო სახლი

თხზბათს, 13 იანვარს ქართ. დრამ. სახ-ის დახის მიერ წარმოდგენილი იქნება

იულის მემკვიდრე

დრ. 5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისი

მონაწილეები: ქანი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბენი: აბაშიძე ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ქვიციანი. ადგილებძს ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

დააწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ანდრეიანკაშვილი

დრამ. სახ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტეშობისთვის.

განათლება სამეცნიერო-მედიკო-გოგიურ და სალიტერატურო ყურნალი (წელიწადი მეცხრე).

წლიურად ყურნალი 5 მ. ტფილისში გავზავნით ედირება 5 მ. ხელის-მა-4 მ. მწერთათვის სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველთა, საშუალო სკოლის მოწავებს, სტუდენტებს, მუ-ყურნალი დაკომპანათ შებს 3 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყურნალისა ედირება 50 კან. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ყურნალი. მისამართი: Тифлисть. Дворянская Грузин, Гимназия П. Б. Бочвадзе. 1233 რედაქც-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

„განათლება“

ყურნალ-გაზეთებს
კანტორა

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

გვსავნება ლეტებს: „თეატრი და ცხოვრება“, „ოან. აზრი“, „ეკ. მათრახია“, „საქარ-თველი“, „Тифлисский Листок“, „Русское Слово“, „გარნიზონი“, კედის კაფენ-დები და სხ და სხ. ქართული წიგნები. ფული რა წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисть, почтовый ящик № 96, С. Таварткиладзе.

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ. გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებს ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნოს: Тифлисть, поч. ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе. თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

ფოსტოგრაფია ი. ა. სტურუანი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ეოველნაირი ზომის სურათებს ხელ-მისაწყდენ ფესებში, სუფთად და ხელაფნურად. შენაკვეთ სეშეს ასრულებს დანიშნულ ვადაზე



№ 2

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლისь, Ред. „Театри да Цховრება“ I. Имо-დაшвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

წელიწადი
8 9 0 1 1 2 3 4

№ 2

შ ა ბ ა თ ი, 9 ი ა ნ ვ ა რ ი

1916 წ.

9 იანვარი

შორს კინკლაობა და მცონარეობა

„ჭირიმე ერთის პი-რისა და მრავალი ხელი-საოა“ იტყვის ხოლმე ჩვე-ნი ხალხი, რადგან გამოცდილებით იცის, ერთ პირზე მდგომთა მრავალი ხელი რა ნაყოფიერად მუშაობს, ხოლო კინკლაობა, ურთიერ-თისგან განდგომილება როგორ ჰცარავს...

და როდის უფრო გვეჭირვებოდა ამ ერთ პირზე მდგარი მრავალი ხელის შეთანხმებული მუშაობა თუ ახლა არა?..

ჩვენს დაბ-სოფელს ჯერ კიდევ ბევრი კულტურული დაწესებულება აკლია,—სადმე თუ სკოლა, წიგნთსაცავი ანუ თეატრია,—მხო-ლოდ სახელით, :ოხელე—წარჩინებულთა სინაბარაა მიტყვებული, ანუ განმარტოვებული ჯგუფი მესვეურებს... ოფიციალური მოწინა-ვენი-კი: მღვდელი, მასწავლებელი, მწერელი და არა ოფიციალური—სოფლის შეგნებული პირნი, იშვიათად რომ ერთმანეთს მიუდგნენ; ყველა ცალცალკე თავისთვის მართალია, უცოდველი, და ერთი მეორის კინკლაობაში ჰლევენ ღღეთა თვისთა...

ამ წლიდან კიდევ სოფლის მოხელეთა არჩევნები იწყება ახალი წესით; ბედის სინა-ბარა თუ მივაგდეთ საქმე, შესაძლოა ისეთი სოფლის მამანი ჩავვიყენონ, რომ... ბოლოს თითზე კბენამ აღარა გვიშველოს-რა...

ეს გარემოებანი ვალად რაცხს ჩვენი და-ბა-სოფლის მოწინავე-შეგნებულ პირთ, მცონა-რეობაზე ხელი აიღონ, ურთიერთ-შორის კინ-კლაობას დაეხსნენ და შეთანხმებით იმუშაონ ჩვენის ხალხის კულტურულ-ეკონომიურ წინ-სვლის საქმეში...

შორს კინკლაობა და მცონარეობა!— ერთი პირი და მრავალი ხელი,—აი რას უნ-და ვესწრაფოდეთ!..

რ ა დ ე მ დ ი ს ?!

ქვეყანა ინგრეოდა. დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. ცის გუმბათი გახსნილიყო, სამ-გლოვიაროდ მორთულ შავ ტახტზე მორკმით იჯდა მოხუცი ვინმე, თეთრი სპეტაკი წვერი მისი დაენამა ცრემლს. შორს საქვრეტი მან-ქანა ეპყრა ხელში და ჩასცქეროდა დაუსრუ-ლებელ დაღმართს, საცა ჯოჯოხეთი გამეფე-ბულიყო.

— და ეს არის, და ეს არის? ეს არის სრულქმნა? რათ, რათ მინდოდა ადამის შვი-ლი? როდემდის, როდემდის ასე?—ეკითხება თავის თავს მოხუცი.

II

დედამიწა გასწორდა წელში, რაკი კაცი შეჩერდა და გამალებით აღარ დარბოდა მისს ზურგზე. გაბოროტებული ადამიანი ერთს წუთს დამორჩილდა წუთს დიადს, დიდი პი-რის დაბადებისას. იესოს შობის წამებმა ჩა-ნელა აბობოქრებული ზღვა და მიაქცია თა-ვის კალაპოტში.

— ტუ, ტუ, ტუ, ტუუ... გა ისმა ყოველ მხრივ, ყოველმა მხარემ აღმართა თეთრი ბაი-რალი და იწყო ღღესასწაულის შეხვედრა.

აქი-იქ გაჩაღდა ცეცხლები და ზედ შემო-დგმულ ქვაბებს შემოეხვივნენ...

„ქრისტე იშვა“. დაღად ჰყო ხალხმა, დაღად ჰყო მხედრობამ, და მის ნიავმა შორს გადიტანა წმინდა მწყემსთა საგალობელი. კლდის წვერზე წამოსკუბულ ეშმაკს ყურს ჩასწვდა გალობა იგი და გაეცინა, ხარხარი მისი მოეფინა მთელ მიდამოს.

სიბნელეში ვიღამაც გადააფურთხა.

— წყეულშიც იყო შენი ხარხარი. — დასწყევლა და ჯვარი გამოსახა არე-მარეს. ეშმაკს ცხვირს დააცემინა.

— ვიღამაც დამსწყევლა შეჩვენებულმა, წაიღე, თორემ სურდო შემეყრება ამ სახედრეთში. კიდევ დააცემინა ცხვირს, კული აიბზიკა, ჯოხს გადააჯდა, გადიჯირითა მკვლართა გვაშებზე და კლდე-ღრეში ჩაეშვა.

III

— იოანე დაცა ცოტა, ფეხებში მებლანდება რალაცები, მკვდრები უნდა იყვნენ. შეჩერდა, სიბნელეში ხელით იწყა ფათური. წინ მიშავალიც შესდგა.

— სანათი ხომ გაქვს?

— მაქვს.

განათა, მიუახლოვდა...

— საბრალონი, მიწას მაინც მივაბაროთ იოანე... — უთხრა თანამგზავს. ფერ-მკრთალ სახეზე მზრანველობა და გულის ტკივილი გამოესახა... დასწვდა მეორე მიცვალეხულს, გიშრის კულულები წინ წამოეშალა და მოესვარა ახლად განელეხულ სისხლში.

— ცოტა კიდევ წაფიაროთ, იქნებ ცოცხლებს შევხვდეთ...

— ვინა ხართ ქრისტიანი, ვკვდები... — მოისმა მომაკვდავის ხმა...

— ჩვენა ვართ, — გაეხმაურა ლმობიერის ხმით.

— წყალი, წყალი, ღვთის გულისთვის...

— მეც მიშველეთ, ნუ დამტოვებთ, მიჰმალეთ ღმერთს, სასიკვდილო არა მიშავსრა...

— ვაი ჩემს ღღეს... ღმერთო, ღმერთო! საღ არის შენი სამართალი! — მოისმის ქვითინი ფეხებ-გადამტვრეულ ვაჟაკის, ზოგს ხელი მოსწყვეტია, ზოგსაც ტვინი გადმონთხევია.

— ნუ გეშინიანთ, ყველას გიშველით, აი იქვე კარვები აქვთ გამართული თქვენს ამხანაგებს.

— გვიშველეთ ქრისტეს გულისთვის...

— ამიწი, იოანე, ამას მე ავიყვან, ეს შენ აიყვანე, ჩემზე ვაჟაკი ხარ. გადავიყვანოთ აქვე.

ასწიეს მძიმე ტვირთი და დაუსვენებლოვ მივიდნენ კარვებთან.

— ახლოგაზდებო, რა დროს ქეიფი და სიმღერაა?! იცით რავედნი ჰგმინავს და ჰკენესის უპატრონოდ შთენილი ველად თქვენნი ამხანაგი... წამოიშალეთ, მიჰხედეთ...

და დაასვენა სულთმობრძავი მიწაზე.

— ერიპაა... ესენი ვილა არიან?

— საიდან მოხვდნენ ნეტაი?

— არა ძმაო, ღმერთმა ქრისტესშობა გამოითენა, ვენაცვალე მის დაბადებას, ცოცხალი ვარ, ერთს წუთს ვისვენებ და აქ ესენი არ მასვენებენ...

— ქრისტიანი ხალხია, თქვენი ძმები, — სთქვა ყრულ უცნობმა...

— წადით აქედან, წაეხირენით... იმდენი იკენესონ მანამ ქრისტემ არ აკრიფოს თავის ხელით...

— „ჰგმინავენ...“ მე კი ერთ საათ შემდეგ არ გავგორდები ვით ქარხალი აი, მე ვიცო...

— საცოდავებო, საცოდავებო! — აუმაღლა ხმას, თვალებმა ცეცხლის ნაპერწყმები დაუკვესეს: „როგორ შემიყვარებთ მე, როდესაც არ გიყვართ თავი თვისი“...

— მოშორდი აქედან! — წაიწია ვილაც უდიერმა და მუშტი მიუტანა ცხვირთან... მეორე სამოსელს წაეტანა...

— დალუზვის ღირსია ქვეყანა ესე... წავიდეთ! — სთქვა მან... და დაიხია... იოანე! ასე იყო მაშინაც, მცემდენ... მას შემდეგ მლოცვილობენ და ღღესაც მცემენ... უბედური ვარ, უბედური, მეგობარო... ვერ დავამკვიდრე სიყვარული კაცთა შორის...

ცხარე მდუღარება გადმოაბნიეს მისმა თვალებმა და მეგობრის მძლავრ მკერდს მიაცრდნო თავი...

— დამშვიდდი, ჩემო იიშუ!.. ბოლო ექნება სიძულვილსაც... ახლა წავიდეთ...

და მიიმაღნენ ღამის სიბნელეში.

მარიამ გარიყული



მსახიობი ნ. გვარამია

13 იანვარს ქუთაისის თეატრში თავის საბენეფისოდ სტაგავს ახალ პიესას „ბედის ტრიალი“-ს.

ქართულ მწერალ- მოღვაწეთა წერილები *)

მარიამ ივანეს ასული დემურია

(მოგონებანი)

მარიამ დემურია ქ. გორშია დაბადებული და აღზდილი. მამა მისი ივანე ივანისშვილი გორის სამხარო სამართლებლო შისხურებდა; ძალიან მისდევდა ქართულ მწიგნობრობას; გვირა-უქმე დღე გორის მიძინების ტაძარში (სობოროში) მუდამ ივანე ივანისშვილი, მამა მარიამისა, ვითხულობდა ხოლმე საღმრთო წიგნებსა და, ძალიან გარკვევით, დაუბრკალებლად და სისიამოვნოდ კითხულობდა. დედა მარიამისა იყო ახსნურ კორინთელის ქალი სოფ. საკორინთლოდან. ჰატარა მშობ ალიზარდა ცნობილ ელიზბარ ერისთავის სახლში; მისს ქალიშვილებთან. ერთი მთგანი ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილისა ცნობილია ჩვენში; როგორც კარგი ქართული დედა, ქველმოქმედი და „ნაკადულის“ ერთი დამუყუძნებელთაგანი. თავადი ელიზბარ ერისთავი ცნობილი იყო გერბის განვითარებით, ქართულის ცოდნით, იგი ერთი ოცდაათ წლიან მუამბოხეთაგანი იყო. მისს ოჯახში ყველამ მშვენიერად იცოდა ქართული და უყვალ ძველი ქართული წიგნები იყო ამ ოჯახში. აი ამ ოჯახში იბდებოდა მარიამი. შვილებში არ არჩევდნენ ელიზ-

ბარი და მისი გუნის ქეთევანი. ბოლოს ელიზბარის ქალები გათხოვდნენ და მარიამი იძულებული გახდა ამ ოჯახს წამოეთხოვებოდა. ამ დროს მამაც მოუყვდა, დარჩა ბებერი ბებიის სინაზარად, რომელსაც არავითარიმე შრომა არ შეუძლო. მარიამი იმ დროის გორულ ხალგაზდობასთან დაშორებული იყო. არაფერ არ იცნობდა დახლოებით. სილამაზის ხმა ქქონდა დავარდნილი და მხალხოდ ამითა იცნობდნენ. ერისთავის ოჯახიდან გამოსვლის შემდეგ მარიამს ძალიან გასაჭირი დრო დაუდგა; ორწევალ შუა იყო: ან უნდა მისცემიყო ამათ ცხოვრებას და ან უნდა დადუბულიყო ცხოვრების ჭკუჭკიან მორეკში. ამ გარკვევის დროს მარიამი შეივრდომა მათე კერესელიძის ოჯახში და გაუწია ნამდვილი მამობა და ჰატარებდა. კერესელიძის ცოდმა მარიამის (იმასაც მარიამი ერქვა) ნამდვილი დობა გაუწია. ამ ოჯახში ხშირად იკრებებოდა გორის ხალგაზდობა; იმართებოდა ბასი თანამედროვე საჭირობოროტო საკითხებზე; კითხულობდნენ სხვა და სხვა წიგნებსა. თვით მათე კერესელიძე დიდი განვითარებული კაცი იყო, ქქონდა ძვირფასი წიგნთსაცავი ქართულისა და რუსულის ლიტერატურისა. აი ამ წიკს გაეცნო ხალგაზდობა მარიამ ივანისშვილისა, ამ წიკში უჩნია, რაიმე სხედილური სწავლა მიელო. შეუვრდოკეს წარმოდგენის საშუალებით ფული და გაგზავნეს ტფილისს საბეიო ინსტიტუტში. დამთავრდა აქ კურსი და ბეიობდა სხვა და სხვა ალაგას: ოსურკეთში, საჩხერეში და სხვ. ამ დროს გაიცნო და შეერთო ვასილ დემურია, რომელიც გამომძიებლად იყო და ბოლოს ბაქაში მსახურობდა. ქმარი მალე გარდაეცვალა და დარჩა ორი ჰატარა ვაჟიშვილი. მარიამ დემურია ქრმის სიკვდილის შემდეგ დასახლდა ტფილისში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საქმეებში. გასაგონარი ენერჯის ჰატარანი იყო. რაკი ერთხელ ამოიღებდა რომელიმე საქმის შესრულებას მიზანში, ყოვლად შეუძლებელი იყო, არ შეესრულებინა.

დიალ, ცხოვრებაში გამოვიდა თუ არა, მიეტეს ქართულ საზოგადო საქმეებში მოღვაწეობას. უფრო დიდი ახმარეზი გამოყუნდა აქ, ტფილისში. ვის არ ახსოვს მისი მოღვაწეობა აგქლის სახალხო სახლის აუდიტორიაში, თვით პირდაპირ მიდიოდა ყველასთან, ეხვეწებოდა, ემუშავებოდა

*) რამდენიმე მწერალ-მოღვაწეთა წერილები და მოგონებანი ჩემი დიბეტი 1914—15 წწ. „თეატრისა და ცხოვრებაში“ ვის მათი გაგვიღებია. ს. მ.

აუდიტორიაში, რომლისათვისაც დღე და ღამეც
სწორდება; არც ჭამა იყო მისთვის, არც სმა,
არც სასლი და ზაწია შეილება. მისი ეგვალაფერი
აუდიტორია იყო. იმ დროს, მარიაშის თხზვანთ,
შენ ვმუშაობდი ავტოსის სასაღხა თეატრში.
მართლაც მისმა მუყაითმა, ძლიერმა ენერჯიამ,
მისმა ძლიერმა სიყვარულმა ფეხზე დააყენა ავტო-
ლის აუდიტორია. ეგვალ მამანდელს ავტოსდას,
ვისაც კი რა შეეძლო, — ეგვალს თავი-თავს მოუ-
ყარა და აამუშავა.

მე შემჩნა ზოგიერთი მისი წერილი, რომ-
ელიც ამტკიცებს, როგორც სიყვარულით ეუ-
ბრობდა დაწვობილს საქმეებსა.

მომეყვანა ის წერილები, რომელიც ჩემზე
მტკვერმეტყველებდა ილაზარაკებზე მარიაშ
რის სულის ძალაზე:

„ძვირფასო ძმაო სოფრომ!

ორშაბათს, 9 საათზედ, ჩემთან გთხოვთ რომ შე-
იყაროთ, რადგანაც სამშაბათს (მართლწერას მარიაშის-
სას ვიცავ) კომისიას უნდა კიდევ წარუდგინოთ სექცი-
ის წევრები. უსათუოდ მობძანდით, თუ ჩემი პარტიის-
ცუმა გაქვთ. საბავშო ჩემი პიესაც მიბოძეთ, რაკი თე-
ლაფში თხოულობენ.

სრულ ცხრა საათზედ გთხოვთ მობძანდეთ რაკი
წინთ შინ არ ვიქნები.

თქვენი ერთგული მ. დემურია.

1901 წ. 13 მაისი.“

შემდეგ მარიაშმა თავისებურად შედგინა შე-
უდგა საუბრეებო ჟურნალის დაწესებას. კარ-
კარს დადიოდა ქართულ მწერლებთან, კალთებს
ავტორებს და მიგზავდა კრებებზე მოსალოაზარაკებ-
ლებს. იშვიათად სწავლებდაც. კნ. ნინო ელიზბარის
ასულებს ქობულიშვილისამ გამოცემლობა იკის-
რა, დავით კრისთავის ქალიშვილმა რედაქტორ-
ბა იკისრა. კნ. ნინო ქობულიშვილის სასლში
იმართებოდა კრებები უფრო ხშირად აკაკის თავ-
მჯდომარეობით. იმართებოდა კრებები ნინო ნი-
კოლოზის ასულ ზურაბიშვილისასაც (ნიკო ნიკო-
ლაძის ქალიშვილთან). უნდა მოგახსენოთ, მოს-
ვენება არ გქონდა მარიაშისაგან, მინამ არ და-
არსა ჟურნალი, რომელსაც კრებამ სასლად **„ნა-
კადელი“** უწოდა.

მომეყვანა მისი წერილები ჟურნალის შესახებ:

„დიდად პარტიკულურ ძმაო სოფრომ!

დღეს პარასკევს ნინუსისთან (ნიკოლაძის ქალი-
შვილი) არის კრება რვა საათზე საღამოსი უსათუოდ
მობძანდით.“

— მწერდა საჩქაროდ საღამოზე ბარათსზე.

აუსრულდა სურვილი, დაარსდა „ნაკადელი“,
რომლის რედაქტორად ბოლოს თვით მარიაშ
იყო. უზრუნველ ჭეო რედაქცია მით, რომ გა-
მომცემლად იშვიათად ცნობილი ქველმოქმედი მ. ი.
თუმანიშვილი, რომელიც დღევანდელმა „ნაკა-
დელის“ გამომცემელია.

ახლა მარიაშს საზრუნო გაუჩნდა თანამშრომ-
ლების მოძიება. გვიკვეთავდა ეგვალს წერას და
თუ დანიშნულს ვადასე არ მივიტანდით, თავშირს
მოგვავტეობდა, ძალათი გავწერინებდა:

„ძმაო სოფრომ!

გიგზავნი მასალას, თითონ მე შევედი წერა-კი-
თხვის საზოგადოებაში და გამოვართვი „თეატრი“ რომ
გამოდიოდა იმაშიაც ყოფილა მოკლე ბიოგრაფია. თუ
წაიკითხამთ კარგი იქნება (აკაკის მოკლე ბიოგრაფია
შემომიკვეთა „ნაკადელისათვის“), თუ არა და ისეც
თქვენ კარგად დასწერთ. თქვენი ტირიმეთ, თუ ჩემი და-
ძმობა გწამთ სამშაბათისათვის მოგვისწარით. გენაცვა
გვედრებით.“

„მე აქ გიცდით (რედაქციაში მიცდილა) და მა-
ნობეთ, თქვენი ტირიმეთ, მზათა გაქვთ თუ არა „აკა-
კის ბიოგრაფია“. ამ ბიჭვე ახლავ პასუხი უბოძეთ“.

მაპატიეთ, რომ ამდენს ვაწუხებთ, მაგრამ სუ-
რათები თუ აღრე არ გაკეთდა დაგვიანდება. თქვენი
მოთხოვნა ამ თვეში არ იქნება, იმიტომ რომ დავგია-
ნებული იყო იანვრისათვის. ვხლა მარტში, თუ ამ სა-
ლამოს ან ხვალ არ გამოგვიგზავნით უსათუოდ და-
გვიანებს ნომერი. სურათებისთვის საჭიროა. მაპატი-
ვეთ, ძმაო სოფრომ, რომ ასე ვაწუხებთ“.

„თქვენი ტირიმეთ ვხლავე შეუდევით წერას თე-
ბერვლის ნომრისათვის, თორემ ვერ მოვასწრებთ სუ-
რათებს.

დიდის ბოდიშით გიგზავნით აქამდის დარჩენილს
საყმაწვილო ჟურნალს. თქვენი უკანასკნელი მოთხოვნა
ყველას ღიდათ მოეწონათ თავისი ზღაპრით“.

„თქვენი რაც გვმართებს სულ ერთად გავისწო-
რებთ, თქვენი ტირიმეთ საღამომო რამ მოგვისწარით.
სიუჟეტი ვხლავ გამოგვიგზავნეთ რომ შემერლინგს მი-
ცეთ. თქვენ თანდათან უფრო საინტერესო კითხვებს
ვხებით—უვარვის შკოლის სისტემას. სიუჟეტს ვხლავ
გადასცემთ თქვენი ტირიმეთ“.

14 მარტი 1905 წ.“

რასაკვირველია, როგორც მე შეხვეწებოდა
და მწერინებდა, ისე კიდევ სხვებს თავზე კა-
კას ამტკვევდა, რომ უსათუოდ მიწერდებინათ

მასალა უწინადადისათვის. წერილს რომ გამოგზავნიდა, მერე თვით მიტყუებოდა თან, ჩაგვიდებოდა და მინამ არ დაგაწერინებდა, არ მოკვებებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი საქმის მუკათი, მისდაში სიუვარუდით აღფრთოვანებული, ასეთი ენერჯიისა და სულის ძალით დაჯილდოებული ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ჭაფუბი და მუღმივმა, განუწუვეტელმა მუშაობამ მარამს გული დაუსხეულა და უდროოდ გამოტყუა ქართველბას სელიდან ძვირფასი ადამიანი, ძვირფასი ქალი—ქართველი. აწ მისი სული დამშვიდებული განისვენებს. მან დიხსეული მემკვიდრე იშოვა—ნინო ნაკაშიძე, რომელიც დიხსეულად, დიდის ნიჭით და ცოდნით განაგებს მარამ დემურას დატოვებულს ზარმუშა შვილს „ნაკადულსა“.

ს. მგალობლიშვილი



ქართველი ქალის თმა

← მინამ სურს

ტომასო საღვინი*)

გარდაიცვალა იტალიელთა დიდებული ტრაგიკოსი ტომასო საღვინი. საღვინი დაიბადა 1829 წ. არტისტიულ ოჯახში. მამა მისი ცნობილი დრამატიული მსახიობი იყო, დედა კი ოპერის მომღერალი. პირველ დაწყებითი სწავლა ფლორენციაში მიიღო, 13 წ. იქნებოდა, რომ სრულიად მოულოდნელად გამოვიდა სცენაზე და ამის შემდეგ თავი არ გაუნებებია და ხარბათ დაეწაფა სასცენო ხელოვნებას. 19 წ. კაბუკმა უკვე ტრაგიკოსის სახელი დაიმსახურა. მხოლოდ როდესაც შექსპირის ნაწარმოები გაიცნო და ოტელოს, ჰამლეტის, მეფე ლირის და მაკბეტის როლები შეასრულა, მისი სახელი მთელ დედამიწას ელვასავით მოედო. მთელი ევროპა შეირყა და ყველას ესიზმრებოდა საღვინის ნახვა. არც ერთი გამომჩენილი ქალაქი არ გამოუშვია ევროპაში და ყველა გააოცა თავისი დიადი, მძლავრი ნიჭით, ყველანი აღტაცებით და დიდი ზემოთ შეხვდნენ იტალიელთა სიამაყეს, როგორც ერთ-ერთ უდიდებულეს მსოფლიო ტრაგიკოსს. ხუთჯერ ამერიკაში იყო მიწვეული. მოიარა ეგვიპტე, ავსტრალია და სხვა ქვეყნები. აგრეთვე ორჯერ რუსეთშიაც იყო: მოსკოვში, პეტროგრადში, ოდესაში

და ხარკოვში საღვინი დაუღალავი მშრომელი მსახიობი იყო. გასაკვირველი ვულკანისებური ტემპერამენტი, დიდი ენერჯია და ცოდნა ყოველ როლისათვისჯერ აწონდაწონას შეალია. თუ გინდ სამსჯერაც ეთამაშნა ერთი და იგივე როლი, მაინც დიდის სიყვარულით და დაკვირვებით ხელმეორედ ამზადებდა და თავისი შემოქმედება დაუშრეტელ წყაროდ აქცია. მისი სფერო—შექსპირის სფერო იყო. საღვინი—შექსპირის სულიერი შვილია! მას ბადალი არა ჰყავდა დიდებულ დრამატურგის გმირების დახასიათებაში. განსაკუთრებით საგანგებოდ ასრულებდა ოტელოს როლს, რომელშიაც ისევე დიდებული იყო, როგორც თვითონ შექსპირი. საღვინი კოკლენის*) თეარის მოწინააღმდეგეა, იგი უარჰყოფს მისს მეთოდს. როგორც ვიცით, კოკლენს არა სწამს გულწრფელი, ნამდვილი მსახიობის განცდა გმირისადმი. კოკლენი ამბობს: „მსახიობი ყოველ რაღაც ხელფენურად უნდა თამაშობდეს. გმირის ტანჯვა-გაბასთან—იგი ცივია. მსახიობმა იმ გვარ ხელფენებით უნდა შეასრულოს როლი, რომ მისი ხელფენება სინამდვილეს წააგუდეს“. საღვინი კი ამ აზრისაა: „თუ მსახიობი გულწრფელად არ განიცდის თავის გმირის განცდას, მაშინ ტამა ფაღბი იქნება, მსატრუელ შემოქმედებას მოკლე-

*) ეს წერილი პირველ ნომერში ვერ მოთავსდებოდა. იხ. 1-76 ში.

*) საღვინის გამომჩენილი მსახიობი.

ბული და ამასთან სინამდვილეს დაშორებულია“.

სასცენო ხელოვნების გარდა სალინმა სამხედრო ასპარეზზედაც დაიშახურა სახელი: 1848 წ. რევოლიუციაში მიიღო მონაწილეობა და გარიბალდის მიერ დაჯილდოებულიც იქმნა. მაგრამ იგი უფრო დიდად მისმა საყვარელმა სცენამ დააჯილდოვა: სცენამ უკვდავყო მისი ჰენია და დააღმა ბრწყინვალე გვირგვინი, მხოლოდ მან უკვია სალინს დიდების გუნდრუკი. მისი სახელი განსაკუთრებით წითელი ასოებით აღიბეჭდება სასცენო ხელოვნების ფურცლებზე.

ვ. გარრიკი.

ხელოვნების მოკლე ისტორია

(გაგრძელება. იხ. „თ.“ და „ც.“ № 1)

ხელოვნების ისტორიის ეპოქანი.

ხელოვნების ისტორია საზოგადოთ ცალკეად არ არსებებს ხელოვნებათა შირობებს და წესს. ის ერთად და ხელ-შედეგით არსებს ყველა ხელოვნებათა კანფიორებას და მათ მიერ განდიდეს ევოლიუციას. ხელოვნურ ნაწარმოებთა შესახებულად ისტორია ხელოვნებისა თვით იმ დროსა და ხანას უკვირდება, რომელშიც შექმნილა ნაწარმოები. თუ ჩვენ შევიწავლით რომელიმე ისტორიულ ეპოქას თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინდელი ცივილიზაცია, ეს გავიადვილებს იმ დროის ხელოვნურ ნაწარმოების შესწავლას, რადგან უფრო სურათს, უფროდ ქანდაკებას ამჩნევთ კვალი თავისი დროის იდეისა, რწმენისა და ზნე-ჩვეულებისა. ვინემ რომ მიონდომოს ათონის ისტორიის დაწერა, ამ ისტორიაში უთუოდ აკრძალის ტაძრებზე უნდა მოიხსენიოს თუ უნდა, რომ მისი ნაშრომი უფროდ სრული და უნაკლებო იყოს, ხოლო ვინც ფიდიუსს მოიხსენიებს, მან მაშინდელი, ანტიური ცივილიზაციაც უნდა გაითვალისწინოს, თორემ მისი მოხსენება ან მშრალი, სქემატური ნუსხა იქმნება, ან უბრალო და უნაყოფო სიტყვათა მადრეანი. ქვეყანა, ეროვნება, სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება. ყველა ამთ ხელოვნებაზე დიდი და გარდუვალი გავლენა აქვს. მაგრამ არც მართა თანამედროვე „ეპოქა-ცხოვრების“ გავლენით

შეიძლება ყოველივე აისხნას. ესეთი ახსნაც ცალმხრივი გამოვა და ყოველივეს რომელიმე ეპოქის მთავარ ხასიათის გამორკვევასზე ვერ დამოკიდებთ. ამითი შეიძლება თვით ისტორიაც დაგამახინჯოთ. როგორც ყველა სხვა მხარე კაცობრიობის ცხოვრებისა, ისე ხელოვნური ნაწარმოების მოფინებაც მეტად რთულია და მის გამოსაკვლევეად მარტო მეცნიერული წესი ქიმიური ანალიზისა არა კმარა; აღამიანის შირადი ცხოვრება მუდამ ცვალებადია და დაუდგომელი და ეს მდგომარეობაც მუდამ ანგარიშ განსწავვია. ცხოვრებაში არსებობს კიდევ ისეთი განუქნებელი კანონები ესთეტიკისა, რომლებიც არავითარ ისტორიულ მდგომარეობას არ ეთანხმება და ამიტომ მიუცდებულად თანაბარი ანგარიში გაუწიოთ, როგორც ამ კანონებს, აგრევე იმ თეორიებს, რომელთაც ყოველივე უნდათ „ეპოქა-ცხოვრების“ მიზეზით ახსნან და გააკვიონ. მართალია, ყოველი ხელოვანი შეიძი და ნაყოფია თავისი ქვეყნისა და თავის ეპოქის, ის ამ დროში ცხოვრებს და ამ დროს თვალსაზრისით თხზავს თავის ნაწარმოებთ, მაგრამ ამავე დროს თანამედროვე ცხოვრებისაგან ანარკეს მასლას თავის თავში აწრთობს, გადაადუღებს და უერთებს მისი ოცნების ნაყოფს. ხელოვანი შეიქმნ, ჭბამავს, თხზავს, ან შირდაპირ კადმეაქვს ცხოვრების სურათები და ეს სხვა და სხვაობა მისი შემოქმედებისა იშურებს ჩვენს გულისურს ისტორია ჩვენ გვეხმარება, რომ უფრო კარგად შევცნოთ ნაწარმოები, მაგრამ ხელოვნურ ნაწარმოებში ჩაქსოვილ ყველა აზრებისა და სურათების სრულს ახსნას და გამორკვევას მისგან ნუ გამოვლით.

როგორც ყველა სხვა ნაყოფი აღამიანის შემოქმედებისა, ისე ხელოვნებაც იბადება, იბრდება, ევავის და შემდეგ ბერდება ან სუსტდება. ერთის სიტყვით ხელოვნებაც ჩვეულებრივ საზოგადო კანონებს ემორჩილება წარმოშობისა და გარდაცვლისას. ყველა შინადა კულტურისა ხალხის ცხოვრებაში ხელოვნება განდიდის შემდეგ ბერიადებს: სიერმისას, სიემაწვიდისას, დაჯავკებებისა და დანემისას; ზოგჯერ უცებურის გამოფიტვის შემდეგ ხალხის ცხოვრებაში ხელოვნება ისევ ცოცხლდება ახლის გამოხსნულად და ხანგრძლივად ბრწყინვალეებს. მაგრამ

ამათი მარტო აღნიშვნა არა კმარა, საჭიროა მათი არსებითი ხასიათის ახსნა და მიზეზების გამოკვლევა. აი სწორედ მაშინ აღმოჩნდება, რომ რამდენიმე ეპოქა ერთი მეორეზე მრავალი საუკუნეებით დაშორებული მიუსჯედავად ბევრ გვარის განსხვავებისა, ბევრში მაინც ერთი მეორესა ჰგავს და ანალოგიური მოვლენანიც შემთხვევითი არ არის. ეს კი ამტკიცებს აღნიშნულ სულის სამძვარვებს და ერთიანობას, მიუსჯედავთ იმისა, რომ მისი გამოთქმელობა მუდამ სხვა და სხვა და მრავალფეროვანია. წარმოშობის, აუჯგუშის და დანების პერიოდი თითქმის ყველა ეროვნების ხელაქნებაში ერთგვარი ხასიათისაა. ხელაქნება სათავეში უფლებების მარტივი და ტანჯვა, მხოლოდ შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში ვითარდება. მისი განვითარება კი დამოკიდებულია თუ რამდენათ მადლდება ბუნების შესწავლა, სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი თვალთახედვა ეროვნებაში.

შალვა დადიანი

(შემდეგი იქნება)

ყვავილები

ნუ მომილოცავთ

ნუ მომილოცავთ, სწორ-მეგობარო, სისხლით გატენთილს ამ ახალ წელსა; ურვა-გოდება ზედ დასწოლია გმირთ სანავარდო ბრძოლისა ველსა. თრთვილს დაუხუთავს სულის მერანი, ველარა ჰკვეთავს ნაბუქარებსა; შემოგვლრიალებს ბოროტი ქარი, შხამ-გესლით გვივსებს ქოხის კარებსა. ცრემლში იხრჩობა მთელი სამყარო, გარს შემოგვრტყმია ასპიტი-გველი, უანგარობას სიციცხლეს ათმევეს, დაუნდობელი ბოროტი ხელი. ძაძით მოსილა დღეს ჩვენი სატრფო, ზის და მღუმარებს კვალად თვალ-სველი ხევ-ხუვში ცნვისის, მტრისგან დაქრილი, მისი მფარველი, მისი გულმწველი; გრძნულ სურათზე ჩაფიქრებულა ობლად შთენილი ტყე-მინდორ-ველი; მიტომაც არ მსურს, რომ მოგილოცოთ ამ უცნაურ დროს მე ახალ წელი.

როდესაც დადგეს ტურფა ზაფხული, მწვანით შეიმკოს სათესი ველი, მშრომელი ხალხი გავიდეს მინდვრად, ხანჯლისა ნაცვლად გალესოს ცელი, როს სატრფო ნახოთ პირ-მომღიმარი, ტურფად შემკული მის ბროლის ცელი, ხელში ეჭიროს ვარდისა კონა თვალად საამო და საყნოსელი, — აი, მაშინა მომილოცევით სიხარულითა მე ახალ წელი, ბრძოლა გამოვლილს, ტანჯვა გამოცდილს, თანავგრძობითა მომეცი თხელი *)

გ. შინატენელი

ბაზრატის ტაძრის ნანგრევები

ვნახე ტაძარი, ბაზრატის ქმნილი, ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული, ვნახე საფლავნი უღვთოდ დანთქმული, ვნახე კედლები ჩამოვგრეული...

ვნახე ადგილი ტურფა, მთიანი, ქეები დათლილი, ჩუქურთმიანი, და მით მღულარე წყლულს გადამესხა, თავი დავლუნე, გავწითლდი, შემრცხვა. შემრცხვა ყველაფრის, შემრცხვა იმისი, რომ მთლად გავმხდარვართ საქვენი სხვისი, რომ ცხოვრების გზა ცუდად გვივლია, რომ თავისთვისაც ვერ მოგვივლია! კაცო! თუ ახალ ნერგს აღარ დარგავ, ძველს რაღად ახმოვ, ძველს რაღად კარგავ?... კაცი კვეიანი სახლს არ დაამხოვს, ახალ ხეს დარგავს—ძველს არ გაახმოვს, შენ კი, ქართველო, აბა რა ჰქენი? აბა რას ამოვს შენი საქმენი? რა გააკეთე, რა შეიძინე? ღვიწო დალიე, ვაილილინე... ადგილ-მამული ნაანდერძევი ვერ შეიძინე, ვერ დაიცევი, თითო-ოროლა გროშად დაჰყიდე, ხმალი კუთხეში უქმად დაჰკიდე... გაიძახადი „მაცა“ და „ზმაცა“ და ამ ძახილში სხვამ დაიტაცა: შენი ქონება, შენი სახლ-კარი...

*) ეს ლექსი საახალწლო ნომრისთვის იყო გამოცემული.

აჰა, რღვეულა დიდი ტაძარი
 და ქართველთა ძე ნეტავ სად არი?!.
 რად არ ამოვა ამ მთის მწვერვალზე,
 რა აფარია ნეტავი თვალზე?
 რად არასა გრძნობს, რად არას ხედავს,
 ბედი დაჩაგვრას როგორ უბედავს??!.

ვნახე ტაძარი, ბაგრატიის ქმნილი,
 ვნახე წარსულის ნაშთი რღვეული,
 ვნახე საფლავნი უღვთოდ დანთქმული,
 ვნახე კედლები ჩამონგრეული...

საფო მგელაძე.

კ ა ს უ ხ ი

შენ გსურს იცოდე ჩემი წარსული?
 მაშ ყური მიგდე, ძმავ-მეგობარო,—
 გეტყვი, რათა ვარ სევდით მოცული,
 რათ დაშრა ჩემში სიცოცხლის წყარო:

მე მონა ვიყავ უგულო კერპის,
 მონა ტკბილ-მწარე სიყვარულისა,
 და ვით შემეძლო შეწირვა მსხვერპლის,
 მუხანათს ჩემივ გრძნობა-გულისა.

მარად მასმევდენ ნაღველს და შხამსა;
 კაცთ სიავითა ვერ ვისვენებდი;
 შური სწამლავდა სიამის წამსა
 და სასოებას ცრემლში ვეძებდი.

ჩემში კეთილსა—იციობდენ ავად,
 ჩემი ოცნება—გესლმა წაწყმიდა,
 ეამს სიყმაწვილის გამზადეს ავად,—
 წაშალეს ჩემში წმიდათა-წმიდა!

ღღე ღღეს მისდევდა და ღამეს—ღამე,
 მე კი ვერ მივწვდი ტანჯვის დასასრულს;
 არ ვიცი რაა სულის სიამე
 და მხოლოდ ველტვი ყოფნის აღსასრულს...

და თუ ათასში ერთხელ ვიგონებ
 ჩემ სიყმაწვილის პირველ გაზაფხულს,
 მაშინაც გრძნობებს ძალად ვიმონებ,
 ძალად ვემღევი მწარე სიხარულს!..

დარია ახვლედიანი



თ-დი დავ. ოტ. ნიუარაძე

დასავლეთ საქართველოს (ქუთუისის გუბ.) თავად-ახნა-
 ურთა წინამძღოლი, დაინიშნა მეფის ნაცვლის საგან-
 გებო მინდობილებათა გენერალად.

ავადამოვ მოსწონებ *)

ამ უამად მწოლიარე ვარ,
 ველარა ვხმარობ კალამსა,—
 სხვას უკარნახებ, ამითი
 ჩემს გრძნობას ვატან ძალასა.
 რუხადეს, გელას, ევლოშვილს
 მიუძღვნი გულწრფელ სალამსა:
 იცოცხლეთ, ჩვენო კარგებო,
 თქვენი სიცოცხლე გვჭირია,
 ამას გისურვებთ საწყალი
 რაქველი გლეხისშვილია.
 კიდევ გვაშინეთ მრავალჯერ
 თქვენი ლექსები ტკბილია,
 ეყოფა საქართველოსა
 რაც ედგას გასაჭირია;
 დიდი მგოსნები დაკარგა,
 მრავალი გმირი შვილია;
 ესეც გვეყოფა სიმგლოვრად,
 მე მუდამ ამას ვსტირია!..

ვასილ კირვალიძე

30 X/II 15 წ.

*) ეს ლექსი ეკუთვნის სახალხო მოლექსე-მოღ-
 ვაწეს, ვას. კირვალიძეს, რომელიც ამ უამად ბალა-
 ხანის საავადმყოფოშია წევს. აი რას გვწერს ერთი
 მისი მეგობარი: „თქვენი ჟურნალი მივეტანეთ და
 რავარც დახედა რუხადის სურათს, ტირილი მოვირია,
 ხელათ სთქვა ლექსი სამს მგოსანზე, რომელიც
 დავწერე და გიგზავნი“. — ვბეჭდავთ უცვლელად.

ბელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 1)

V

მარიამ, ოთარ, ბაგრატ, თამარ, ჯიბრაილ და მზენათუნ.

ბაგრატ. შენი ბძანებით წამომიყვანეს ამ ბავშვებმა! მიბრძანე, დედოფალო, გულსმოდგინედ ყურს გივადებ!

ოთარ. ჩემს საძებნელად მსახური გაგიგზავნია... აგერ ვახლავარ, რას მიბრძანებ? ლაზარევეთან ვახლდი და იქიდან საჩქაროდ გამომიძახეს. ხომ არა მოხდა რა?.. ღენერალმა დამაბარა, ჩქარა შემატყობინეთ რა ამბავია, რომ მთელი ქალაქი შემოირბინა მსახურმა და ძლიერ-ძლივობით იქ მომავნო. ხომ კარგადა ბძანდები, დედოფალო?

მარიამ. ლაზარევა დავაბარა!.. რა უნდა ჩემგან?.. კარგადა ვარ თუ არა? თუ საღს ტანში იქნება ნატყენი გული და შეწუხებული სული, როგორა გგონია, ამილახროო, სხეული საღი იქნება?

ოთარ. თუ გული სწუხს რასმე და სუ-



მსახიობი ვ. ს. ალ.-მესხი შვილი

ხეზე ამომწვარ-ამოჭრილი და შემდეგ სხვა ფიცარში ჩასმული. თავ. დუშიკო ფალავანდიშვილის ნახელოვნები.

ლი შფოთავს რითიმე, ხშირად მოხდება, რომ სხეული ავად ხდება!

მარიამ. აი, სწორედ ავრე ვარ მე ავად! წადი და ავრე მოახსენე იმ უენს ღენერალს!

ბაგრატ. მანამდის იმას შევატყობინებდეთ, ჯერ ექიმს უნდა ეჩვენო.

მარიამ. ექიმს არ ძალ-უძს ჩემი განკურნება!

ოთარ. მაშ გვიბრძანე, რა არის უენ თავს?

მარიამ. რომ გითხრათ, ჩემ განკურნებას კი შეიძლება?

ოთარ. უეჭველია, თუ ძალგვიძს უენი მკურნალობა.

მარიამ. აი, ექვსს თვეზე მეტია, რაც...
ბაგრატ. რაც უენ ავად ბძანდები?

ოთარ. რაღად გვიმალავ უენს ავადმყოფობას?

მარიამ. აი, ექვსს თვეზე მეტია, რაც მეფე გიორგი, ჩემი მეუღლე, ღვთით აღესრულა და რაც მთავრობამ თავისი წესწყობილება შემოიღო. დავით ბატონიშვილი მმართველობისაგან გადააყენეს და რმის ნაცვლად, სასცილო კი არის, ღვთის წინაშე, დასვეს ჩვენი ქვეყნის მმართველად (დატანვის კილოთი) დარჩუა ბებუთაშვილი, ეგნატე და სულხანა თუმანიშვილნი, ზალიკა ბარათაშვილი და ვანუა ჩოლაყაშვილი! ეგენი ჩემზედა არასა ფიქრობენ და ჩემზედ ჯერ არა ვადუწყვეტიათ რა. სულ ჩემი მტერნი არიან, ჩემი



პოდპორ. მ. ა. გობრონიძე,

ოზურგეთელი, ბრძოლის ველზე დაჭრისა და განკურნების შემდეგ, ისევე დაუბრუნდა სამსახურს. გასაოცარი ფაქტობის გამოჩენისათვის დაჯილდოვებულია წმ. გიორგის ჯვრითა და სხვა ჯილდოებით.

მოქიშპენი, რომ საკუთარს ჩემს სახლში მთავრობას დააქვინებს ის თავადიშვილი და აზნაურნი, რომელნიც ჩემთან იყვნენ რჩევის საკითხავად, საცოდავნი. სულ ათნი იყვნენ და იმათში ოთხი თავადი ძალზედ მოხუცნი, ვითომც რალაც შეთქმულობა დასწამეს და აგერ, ჯერაც კი სხედან ციხეში და იმათ საქმეზედ სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

ბაგრატ. თავიანთ ქიშპობით რას დაგაკლებენ, ერთი მიბრძანე? მთავარმართებელმა თუ არ დაამტკიცა იმათი გარდაწყვეტილება, თავისთავად იმათ აბა რა შეუძლიანთ?

ოთარ. იმ ათს კაცზედ ნუ სწუხხარ, დედოფალმა ისინი იყვნენ დასმენილნი ერთი რუსის მოხელისაგან და გამოძიებამ აღმოაჩინა რომ ისინი უბრალონი არიან და ხვალ განათავისუფლებენ სრულებით.

მარიამ. მე და ჩემი შვილების ბელზე ჯერ არა ისმის რა იმათი გარდაწყვეტილება?

ბაგრატ. როგორ არა, ბატონო! შენა ხარ დიდს უარზედ, რომ რუსეთს გადასახლდე; შენი საკუთარი სარგებლობისათვის სწორედ ეს გადაწყვეტეს, რომ დაანებო აქაურობას თავი. ისინი შენი მტერნი კი არ არიან; შენი მოკეთენი არიან... და იმ ათი კაცის განთავისუფლება იმათ გარდაწყვეტილებით არის, შენი პატივისცემის მიზეზით, რადგანაც შენი იმ შეთქმულთა მოთავედ უნდა ჰყოფილიყავი.

მარიამ. შეურცხვეთ იმათ მაგისტანა მოკეთება და პატივისცემა! აქედან შე რუსეთში წასასვლელად ფეხსაც არ გადავსდგამ, სანამ ცოცხალი ვარ და მკვდარი კი, სადაც ვერჩიოთ იქ გადამაგდონ!

ბაგრატ. არა, შენი ქირივე, არც აგრე იქნება! როგორც მოგესხნება, დარჯჯან დედოფალი, რამდენიმე თვე არის, რაც მოსკოვში ბძანდება და იქ ისე კარგადაც ცხოვრობს, რომ აქაც ისე არ უცხოვრია, ყველა ჩვენი ბატონიშვილები იმპერატორის უმაღლესის ბძანებით, რუსეთს გაიწვიეს და ზოგი პეტრებურდსა ცხოვრობს, ზოგი ხარკოვსა, კალუგას, მოსკოვს, კურსკსა, სიტყვით იმ ქალაქებში, რომელიც თავის თავად აირჩიეს და ცხოვრობენ უზარუნველად მთავრობის მფარ-

ველობით. კარგა ბლომადაც ფული ეძლევათ საცხოვრებლად. ბატონიშვილი დავითი თვით ხელმწიფე იმპერატორთან ბძანდება...

მარიამ. ეგ მე სრულებით არ შემეხება, ვინ, სადა და როგორა და რითი ცხოვრობს და იქ ვინ ვისთან იმყოფება!.. მე შენ გადაქრილს გეუბნები, სანამდისინ მე სული პირში მიდგია, აქედან ფეხსაც ვერავინ ვერ გადამაღმევიებს!..

ოთარ. მაგაზედ, ბატონო, თვით იმპერატორის ბრძანება გახლავს გამოსული...

მარიამ. რა ბრძანებაა?!. რომ მე აქედან გამაძევონ? ეგ მე არა მჯერა! იმპერატორი მაგას არა ბრძანებდა! ვის რა ნება აქვს ჩემს პიროვნებას შეეხოს, ან ვის რა ნება აქვს მე შემეხოს?

ოთარ, როცა ჩვენთან ახალი მთავარმართებელი დაინაშნეს, ლენერალი ციციანოვი, ხელმწიფემ დააბარა, რომ დაემოჩილებინა ყველა აქაური მცხოვრებნი და რომ ხალხში მშვიდობა დამყარებულიყო, ჩვენთა მეფეთა სხვა და სხვა ნათესავთა შორის. იმათ მეცადინეობისა და ცბიერობის მოსასპობად საჭიროთა სცნეს მოაშორონ აქაურობას ჩვენი სამეფო ოჯახი და ეს არის უპირველესი საშუალება მშვიდობის დასამყარებლად.

მარიამ. რას ვუშავებ, რომ აქა ვარ? მშვიდობას მე ვარღვევ? სწორეთ არ მესმის...

ბაგრატ. ბატონო! მშვიდობის დარღვევა მეტი გინდა, რომ მთელი ქართლი და კახეთი აღელვებულია, რომ აგერ ექვსი თვეა, რაც საუკეთესო წარჩინებული თავადნი და აზნაურნი ციხეში სხედან შენი მიზეზით.

მარიამ. როგორ თუ ჩემი მიზეზით?

ბაგრატ. იმათი დაწყობილობა და შეთქმულობა გაიგეს და გამოაშკარავეს ყველაფერი, რომ აპირობდნენ შენთვის მოეცათ ხელში საქართველოს დროშა, რომ იმის ფრილის ქვეშ ჩამდგარიყვნენ და ამბოხი და ბრძოლა დაეწყათ.

მარიამ. ნეტავი აგრე ყოფილიყო, მაშინ ვუჩვენებდი ყველას, როგორც უნდა დროშით გაძლოლა საომრად!

ბაგრატ. ახლა ბატონო, იმ დაწყვედული ათი კაცის ნათესავობა შენ გაბრალებს

იმათ უბედურებას და თხოულობს შენს გაქვებას აქედან, რადგანაც შენი გულისათვის შეიძლება დიდი შფოთი და სისხლისღვრა მოხდეს. (მარიაშე შექუსებუდი ჩაფიქრდება) ახლა, ბატონო ამაზე რაღასა ბძანებ?

მარიაშე. (გამოირკვევა) მე... რა უნდა ვბძანო?... ისინი აღარ დაიტანჯებიან, ოთარმა აკი სთქვა, ხვალ გაანთავისუფლებენო! მთავარ-მართებელი ციციანოვი ჩემი ნათესავია, არ ისურვებს ჩემს წყენას და შეწუხებას. კარგად იცის, რომ მე მფარველი არავინა მყავს და თავსაც დამანებებს.

ბაგრატი. შენი მფარველი არის თვით ჩვენი მთავრობა და ამაზედ უკეთესი მფარველი ვინლა გინდა, დედოფალო?

მარიაშე. ბაგრატი... შენ ხომ ჩემი ბიძაშვილი ხარ, და ძმასავით მიყვარხარ, ვიცი, რომ არა გძულვარ, მაშ რაღა ხარ ჩემი მტერი, ერთი მითხარი, ჩემთვის სიკეთე რატომ არ გინდა?

ბაგრატი. რასა ბძანებ, მარიაშე დედოფალო? მიყვარხარ დაზედ მეტად... და... ჩემზე მაგას რათა ბძანებ. რის მტერი, რა მტერი? ეგ როგორა სთქვი ჩემზედა?

მარიაშე. თვით მთავრობაა მფარველი... რაღა თქმა უნდა, კარგი მფარველობაა, ჩემმა მზეშე, დარჩუა ბებუთას ხელში!... ჰმ... მე ვიცი, რომ შენ რუსების დიდი ერთგული მომხრე ხარ და ამიტომაც მე შენ არა გკიცხავ, ეგ შენის სინიღისის საქმეა და არა ჩემი და მაგითი შენ არა გაქვს ნება, რომ მე მტრულად მომეკიდო... და...

ბაგრატი. ახა, ლმერთო ჩემო! საიდან მოგდის ეგ ფიქრი, დედოფალო?

მარიაშე. მოიცა, სიტყვის ნუ გამაწყვეტინებ, დამაცადე გითხრა რაც მინდა.

ბაგრატი. ბრძანე, ბრძანე, შენი ჰირიმე. სულ სმენად ვადვიკტევი.

მარიაშე. ჰო, აი აგრე სჯობია, დედოფლის სიტყვის შეწყვეტას!... შენ აი რა მითხარი: მამაჩემი დამპირდა, იმერეთის მეფე სოლომონთან მალულად წასვლას მოგიხერხებო. მამამ რა ჰქმნა, არ იცი?

ბაგრატი. ეგ მე პირველად მესმის, დედოფალო, და რაცა ჰქმნა მამა შენმა, სწო-

რედ, არა ვიცი რა. რაიცა სოლომონ მეფეს შეეხება, შენ განა არ მოგხსენდა, რომ ახლა ისიც დაეძებს რუსთა მფარველობას და თავისის მთელის იმერეთით, საქართველოსი არ იყოს, ნებაყოფლობით კისრულობს რუსთა ქვეშევრდომობას და შენა გგონია, რომ რაიმე მფარველობას გაგიწევს ახლა და თავის სამეფოში ბინას მოგცემს და შეგინიზნებს?

მარიაშე. ეგ არ ვიცოდი და ეგ ამბავი ძალიან მეწყინა... ჰმ... მაშ ჩემი ფიქრი და ჩემი იმედი გაცულდა, გაჰქრა?... ჰმ... სოლომონი გამცემს.

ოთარ. უეჭველია და მოვალეც კი იქნება აცნობოს მთავრობას შენი ამბავი...

მარიაშე. მე და მამა ჩვენმა პირობა დავსდეთ, თუ რომ დღეს შუა დღემდისინ არას შემატყობინებს, მაშ ჩვენი დაწყობილობა არ მოხერხდება.

ბაგრატი. და არც მოხერხდება!

მარიაშე. შენ ჩემი მტერი ხარ!

ბაგრატი. არა, მტერი კი არა, კეშმარიტს მოგახსენებ. აი, ბატონო, ოთარმა მკითხე, შეიძლება თუ არა შევუმჩვენელად თბილისიდან გარედ ვსვლა? შენ ხომ შვიდი შვილი გყავს, ყველასი ერთად გაპარვა და მსლერობით? რასა ბრძანებ? გზების ყველა გადასახვევზედ დარაჯი სდგას. ღენერალი ლაზარევისა ან მთავრობისაგან გასასვლელი ბარათი თუ არ წარუდგინეს, ირავის გაუშვებენ.

მარიაშე. ლაზარევი ბარათის მოცემამში უარს არ მეტყვის.

ბაგრატი. რასა ბრძანებ, ბატონო, ლაზარევი რომ ხელიდან გაგიშვას, ხომ ჩამოახრჩეს.

მარიაშე. მე რა მენადვლებო, ჩამოახრჩონ, ოღონდ კი მიშველოს მე და ქალაქიდან გასასვლელი ბარათი მომცეს.

ბაგრატი. კარგია, ერთი შენი ჰირიმე, რა უცნაურადა ბძანებ!

მარიაშე. უცნაური აქ არა არის რა! ლაზარევი მწყალობს, ჩემ თხოვნას შეიწყნარებს... დარწმუნებული ვარ უარს არ მეტყვის.

მზეხათუნ. (სიტყვას გაწყვეტებს) მეც ვიცი, უარს არ მეტყვის.

ბაგრატ. ამას უყურეთ ერთი კუმ თავი გამოაპყო, მეც ნახირ-ნახიროო! შენ ჩვენს ლაპარაკში რას ერევი, შე გამოშტერებულო, გადი აქედან!

მზეხათ. რასა სწყრები, ქა?! გადი აქედან!.. არ გავალ, აქ ვიქნები ჩემს ქალბატონთან, აი რა!

მარიამ. (მზესათუნს) კარგია, სუს!.. არა ოთარ, ეს მართალია, რასაც ბაგრატი ამბობს?

ოთარ. დიახ, დედოფალო, მართალს მოგახსენებს უბარათოთ არც არავის გაუშვებენ ქალაქიდან, არც არავის შემოუშვებენ.

მარიამ. მაშ ტანთსაცმელს გამოვიცვლი; შენს კაბა-ახალუხს ჩავიცვამ, ბაგრატ და შენი ბარათით გავალ, მაშინ ვერ მიცნობენ.

ბაგრატ. ამას, ამ ჯოჯოხეთის ტარტაროზს კი (უჩვენებს მზესათუნზედ) ოთარ ამილახორის კაბას ჩააცმევ? ხომ ყოველი ეშმაკი იცნობს ამ მზეთ უნახავსა! (მზესათუნა ქაჭოლებს აუკრას).

მარიამ. ახა, ღმერთო! მაშ ვერა ხერხხლება რა?.. მაშ... მაშ რაღა ვქნათ ახლა? ოთარ მთავარ-მართველს უთხარი და შენც, ბაგრატ გაჰყევი ოთარს, უთხარით, რომ ნუ დამიშლის მე აქედან გასვლას! იმას არ ურჩევნია, რომ მე ჩემის ნებითვე გავალ აქედან? მაშინ ჩვენზედ შესაწყნარი არა ექნება რა და ამიტომაც...

ოთარ. ეჰ, რასა ბძანებ, დედოფალო, საქმის დაქერა აგრე განა შეიძლება? მე მგონია, რომ კარგი იქნება...

მარიამ. ღმერთო შენ შემიწყალე!! ჩემთვის რა იქნება კარგი და რა ავი, ეგ მე შენზედ უკეთესად ვიცი, მაგას კი არა გთხოვ, მე გთხოვ, დამეხმარეთ მეთქი, თქვენ ორივენი! ოთარ! დამეხმარე მივატოვო ეს ჩვენი, სხვისი ხელით დაპყრობილი მხარე და ამ დახმარებისათვის მე...

ოთარ. ბატონო, სხვისი ხელით დაპყრობილი კი არ გახლავს ეს ჩვენი მხარე, სრულის ნება ყოფლობით არის შეერთებული სწორედ ისე, როგორადაც ჩვენ, ჩვენისავე სრულის ნებაყოფლობით მივეცენით და კი არ შეგვიპყრეს და დაგვიმონავეს სისხლითა და სიკვდილითა, ცეცხლითა და მახვილითა.

მარიამ. სისხლითა და სიკვდილითა, ცეცხლითა და მახვილითა სჯობდა რომ ყოფილიყო საქმე. სისხლი და სიკვდილი იქნება სხვა ბედს მოგვანიჭებდნენ, ვიდრე ნებაყოფლობითი ქედის დახრა.

ოთარ. მაშ, შენის აზრით, ბრძოლითა სჯობდა საქართველოს შეერთება?

მარიამ. რასაკვირველია! ბძოლო თუმცა არ იქნებოდა თანასწორი, მაგრამ იქნებოდა სამართლიანი და ჩვენ გამარჯვებული გამოვიდოდით.

ოთარ. ეგ ვინ იცის რა იქნებოდა!

მარიამ. შეიძლება განა სიცოცხლე უბრძოლველად?.. აი, მივეციო ჩვენი თავი ჩვენი-სავე ნებაყოფლობით, უბრძოლოდ, განცხრომითა და სიხარულითაც კი, მაგრამ მაინც ვიბრძვით! იმათ არ უნდათ ჩვენი აქ ყოფნა, იმიტომ, რომ ჩვენ იმათ ვუშლით ჩვენის აქ ყოფნით. არ ვუნდივართ ჩვენ და სცდილობენ თავიდან მოგვიშორონ... ჩვენ ისინი არ გვინდა, არ გვინდა იმათი ახალი წესწყობილება და არ მივედივართ აქედან. ეს განა ბრძოლა არ არის?

ბაგრატ. ჰო და აი, სწორეთ მაგისთანა ბრძოლაში შენ წაგებული იქნები.

მარიამ. მაღალი ღმერთი მოწყალეა! როგორც ის განსამართლებს, გამარჯვება იმას დარჩება!

ოთარ. ღმერთმა ჰქნას, რომ შენ მართალი გამოდგე!

მარიამ. მართალი ვიყავ, ვარ და ვიქნები ყოველთვის.

ოთარ. ეჰ... კარგი იქნებოდა, რომ აგრე ყოფილიყო, მაგრამ არა, შენ მაგას ვერ მოესწრები, დედოფალო!

მარიამ. ვერ მოვესწრები?! ვერ მოვესწრები იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი სულით ლატაკნი ვართ, სულით დაცემულნი, მე კი უკეთესის იმედითა ვარ...

კ. ყიფიანი

(დასასრული იქნება)

შურის ძიება

(სვანთა წასუფ ცხორებებიდან)

— დედაჩემო, დროა აწი შევესრულო ჩემი მოვალეობა, მიაშბე დაწვრილებით, როგორ მოჰკლეს მამაჩემი, დამილოცე იარაღი... დეე შეუდგე შურის ძიებას. — უთხრა 18 წლის ნარსავმა თავის დედას, რომელიც მზით განათეხულ მაღალ დერეფანზე მამისეულ თოფსა სწმენდა. დედა იქვე იჯდა და შვილის საჩოხე მატყლს ართავდა.

— ეჰ! შვილო! — ხენეშით წამოიძახა სიჩუმის შემდეგ დედამ: დრო კი არის, მაგრამ ძნელია დედისათვის შვილის გაშვება სისხლის საღვრელად.

— არა, დედა, შენთვის უფრო ძნელი ის უნდა იყოს, რომ შენი შვილი სხვის ჩამორჩეს რამეში და ტოლ-ამხანაგების დასაცინრად გაუხდეს საქმე. ბავშვი აღარა ვარ, რომ საქმეს ვერ გაუძღვე. ნულარ აყოვნებ და მიაშბე.

დედა ჯერ ხმას არ იღებდა, შემდეგ რაღაც სულგრძელობით, ამაყად მალლა ასწია თავი და მტკიცედ წამოიძახა:

— მართალია, შვილო, მართალი. აქ დედის ცრემლებს და სიბრალულს ალაგი არა აქვს. შენ ახლა 18 წელი შეგისრულდა და შეგისრულდა მისთვის, რამ მოახლოვდა დრო მოვიცილოთ თავიდან ის ჩირქი, რომელიც მთელ ჩვენს გვარეულობას აქვს მოცხებული მამიშენის სიკვდილით... გადაიქეც, შვილო, მეხად და დვთისრისხვად, დეცი მტრებს თავზე. მა მამაშენი მოჰკლეს გზაში. ყვავ-ყორნებს და ტყის ნადირებს გადაუგდეს მისი სხეული შესაქმელად, მხოლოდ მგორე კვირეს ვიპოვეთ მთლად დაგლეჯილი და სახე ამოკორტნილი. შენ მაშინ პაწაწა იყავ და როდესაც მამაშენის ცხედარი სახლში მოვასვენეთ, მწარედ სტიროდი... იმ დღის შემდეგ შენს ბეუს ჩაექსოვა შურისძიება, იმ დღის შემდეგ შენ მე არ მეკუთვნი და აღიზარდე მისთვის, რომ შური იძიო...

— და ვიქვე კიდეცა წამოიძახა ბრახ-მოკრევით შვილმა და გაუწოდა დედას თოფი: ჰა, დედაჩემო, მიკურთხე ეგ მამისეული თოფი და დამლოცე...

დედამ ჩამოართვა შვილს თოფი და გრძობიერად წამოიძახა:

— შურის ძიების ანგელოზებო, თქვენის სახელით ვაკურთხებ ამ თოფს; კურთხეული იყოს და ერთგული თავის პატრონის. მისი ტყვია მტრის მეხი იყოს; წამლის აღი—ჯოჯოხეთური გენია, კვამლი—სულის შემხუთავი შხამი, ხოლო ხმა—თავზარ დამცემი და გულის შემზარავი ქექა ქუხილი... შეუთისხლობრცეთ პატრონის გულის წყრომას ამ თოფის რისხვა...

შემდეგ მიუბრუნდა შვილს და გადასცა თოფი:

— ახლა შენ იცი, შვილო, თუ სირცხვილს არ აქმევ ამ თოფს. ვინ იცის, რამდენ ათეულ წლის განმავლობაში, პირნათლად ემსახურება ეგ თქვენს გვარს. ამ თოფით შენმა მამა-პაპამ არა ერთხელ და ორჯელ ჩამოირეცხა სირცხვილი; არა ერთსა და ორს მტერს დაუბნელა თვალები... და, იმედია, მამა-პაპის ანდერძს არც შენ უღალატებ. კურთხეული იყავ, შვილო. იყავ მტერთა რისხვის მიმცემი და დედის ნამდვილი შვილი. უთხრა გულამოჯდომით დედამ და ცრემლებით შემოეხვია ყელზე შვილს.

— გმადლობ დედა! ვიყო წყეული თუ გილალატო. ეხლავე გავალ და ჩემს ბიძაშვილს ყანსავს ვეტყვი, რომ ხვალისთვის მოემზადოს.

ამ სიტყვებით იგი გაუსხლტა დედას და ყანსავისაკენ გაექანა.

ამ. პირველი

(დასასრული იქნება)



ოპ. „რიგოლასო“ კარ. სხანაზი

სამშაბათს, 29 ქრისტეშ., სსახლხო სახლში, სსახლხო მუსიკალურმა სსზოგადოებამ გაიშორა მსოფლხო კომპოზიტორ ჟუსეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“, ქართულად თარგმ. კ. დოდაშვილის მიერ. პირველ წარმოდგენაზე ვერ დავესწარით და დიდ დამნაშავეთაგ ვთვლით ჩვენს თავს, ვინაიდან ეს ისეთი ფრიალ სხუურადღე-

ბო მთავრებისა ჩვენს სტენისათვის, რომ ვეგვინი დიდი თანაგრძობით უნდა შევხვდეთ. მართლაც და თუ ჩვენ სტენისაზე ახერხებთ თუხი მთავრად, თუ მას საძირკველი ჩაეყარა და შევიდრ ნიადაგზე დადგა, დიდი კულტურული მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. კარგად გიცით, თუ მუსიკას რა მიზანი აქვს ცხოვრებაში. მუსიკა--ეს არის უდიდესი ხელოვნება, დიდი გამოცდილებული ადამიანის ცხოვრებისა, მისი სულიერული მნიშვნელობისა და სინანულის მატარებელი: შიშვენიერია ამბობს: ადამიანის სული, სკულპტურის და მხატვრობის კარდა, ნათლად და სკაფიად იხატება უფრო ზოგისაში, განსაკუთრებით კი დრამისა და ტრაგედიაში. მაგრამ არის ერთი კიდევ სხვა დიდი ხელოვნება, რომელიც ვეგვინ ხელოვნებაზე უაღრესად სდგას. ეს არის მუსიკა. მაგრამ განა მხატვრობა შიშვენიერია არის ამ აზრისა? ნიღბი, შიშვენი და გულქვა ნიღბურ კი თავს იხრის და კვლავ უნდა: „მუსიკის უდიდესი—ადამიანის სულია! გაწვდება თუ არა მისი სიმი, გაწვდება ადამიანის სულიცა“ დიდი უდიდესი შექმნილი ასე გამოსთქვამს თავის აზრს: „ვისაც მუსიკის ხმა გულს არ აუტკეპებს, იგი ბარბაროსი იქნება უკვლავად, აგასკი და წარმართი, რომელსაც არც კარგში უნდა ენდოთ და არც აგში“. უფრო ადამიანი, ამ ხელოვნების დარგს უნდა მუხლს უყრიდეს და მის დიდა მიზანს, მისწრაფებას ადიდებდეს!

ვეგვინ ეს იმის შესწავლებელია, თუ რა ადგილი უჭირავს ხელოვნებას და განსაკუთრებით მუსიკას ადამიანის ცხოვრებაში.

ქართული საზოგადოებას უკვე ბედმა არგუნა იმისთანა გამოჩენილი კომპოზიტორების მუსიკის მოსმენა, როგორც არიან ქუნი („ფაუსტი“), რუბინშტეინი („დემონი“), რისინი („სეფიდილი და ჯაქი“), ბიზე („კარმენი“) და ახლა გერმანიის მდივანეთ ეს კამელოდობა ნებას გვაძლევს, მომავალში ვაგუბრის ნაწარმოებზე გიფინებოთ.

რასაკვირველია, თუ დიდი საზოგადოებით მოგთხოვთ სხვადასხვა მუსიკალურ საზოგადოებას, მაშინ მათ მიერ შესრულებული ოპერა ჩვენ სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებდა, ძალიან სუსტი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში გვაყავს ის ძალები, როგორც იყვნენ და უნდა სიმართლე ვთქვათ, რომ შედარებით ოპ. „რო-

გოლეტო“ მშვენიერად ჩატარეს, თითქმის მოლოდინისა კადასტრებს. თვით მხატვრულ არ არის ერთ-ერთ შედევრთაგანი ნაწარმოები, სხელ-განთქმულ კომპოზიტორისა. მის უდიდებულეს ნაწარმოების „ადამიანი“ შედარებით „როგოლეტო“, როგორც მუსიკალური ნაწარმოები, სუსტია. ხშირად შეხვდებით უაღრესად დიდი შესაძლებლობაში, ტრიფიკალურ ქანტებს, სადაც მთლიანად ვერ არის კოლორიტი დაცული, მაგრამ ვერაღის მიზანდასრულებული ნიჭი, მისი ქვიანლობის ბეჭედი აქვს სხანს. ოპერაში არის მშვენიერი გრძობა-წარმტადი, ფართო კანტიდენები, მცხენბარე, საამო მთავრები და უფროსთვის სასიამოვნოა მისი მოსმენა. მთავარ მხატვარს როგოლეტოს ასრულებდა ბ-ნი ცხომელიძე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ზოგადი ცხოვრება-მომდევრადს, ფიგურის და დემონის მხატვრების აღმსრულებელს. მომდევრადს კარგი საამო ტემბრის დრამატული ბარბაროსი აქვს. თუმცა მისი ხმა შესამჩნევად ჩახლენილია, მაგრამ მაინც სითბობას არ არის მოკლებული. კარგი სუნთქვა აქვს და ფართო დიამეტრი. მშვენიერი ფრანკოფონის წყალობით უფრო ნათესი ნათლად გადმოგვცხ. სტენისაზე კარგად და თავისუფლად უჭირავს თავი. ჯილდოს მხატვრის ქ-ნი კადასტრ-გასილვის მდევრად. ეს შეტად ძნელი მხატვარი და დიდ მდიდარ ტესტირის თხოვლობს. შედარებით მაინც კარგა შესრულა. ეტუობა მომდევრად ქალს კოლორიტურს ვერა აქვს კარგა მოქნილი და იმიტომაც ქერცოტან დეიტში ჟურჯანი შერძობიერება ვერ გამოიჩინა. კარგი იყო ბ-ნი კურბატოვიც. მომდევრადს საამო მხატვარ სუსტი ხმა აქვს. საშუალო რეგისტრი კარგია, მხოლოდ მდიდარ რეგისტრებს თავისუფლად ვერ იღებს. კონტად შესრულა უკანასკნელ მოქმედებაში არიოზო „ღამისა ქალის“. ცოტა ხელს უშლიდა რუსული აქტენტი. არა უჭირდარა ბ-ნი არგეთელს (გრაფი მონტერანუ). დანარჩენებიც ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

ოპერას მშვენიერად ხელმძღვანელობდა ცხომელიძე ზოლ. ფადაშვილი. შესამჩნევი ნაკლი ქქინდა ორკესტრს:—სუსტი იყო პერსონალთა შემადგენლობა.

ხალხი აუარებელი დასწრო და თანაგრძობ-

ბოთაც შეხვდა აბუკას. მხოლოდ წესიერება არ იყო დატყუი: მხურვლებით ერთი ნაწილი, პირდაპირ სამარტხეინოდ იქცეოდა და ძაღვი ხელს უშლიდა აბუკის მოსმენას. უგერტეურისა არც თავი გატეოდა და არც ბოლო ისეთი უკმაყოფილო იყო. რადის უნდა მოედოს ამის ბოლო? ამ გეგმა თუდაუტყუელი სიტინგიც ხომ სელაგუნების ტაძრის წიკქის მოტხებაა? **გ. გარრიკი**

დაშვარი თეატრის ნაფერფლზე „ახალმა კლებმა“ უკვე განახლა სცენა და ახალი წლის შეგებების დამეს, 31 ქრისტ., ქართ. დრამ. დასმა ამ სცენაზე წარმოდგინა „ზღაპარი კოშკში“. სცენა წინააწამოწეული, დარბაზი სადა, სახსდომი სწორი. წარმოდგენის მართვა შეიძლება, თუ ხმის დამქსაქველი მიზუზი ააცილებს. ამვე „ახ. კლ.“ სცენაზე 2 იან. ქართ. თეატრის დარსების სახსოვრად წარმოდგინეს „ფული და ხარისხი“ და „სამზადისი“. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

სახალხო სახლში 2/I წრემ ქართ. თეატრ. დარსების ხსოვნის აღსანიშნავად წარმოდგინა „გაყრა“ და „დავა“, მე-2-ე მოქ., ორივე გ. ერისთავისა. ორივე პიესამ კარგად ჩაიარა, საუცხოვონი იყვნენ ვ. გამყრელიძე, ს. რომანიშვილი (ხარიტონ ფილ.), ნინიძე (გოდომბრელიძე), ნ. გაცირიძე (თარჯიშანი). წარმოდგენას ეტყობოდა რეჟისორის (ვ. შათირიშვილის) მაღლიანი ხელი. აუარებელი ხალხი დაესწრო.

ვაჟა-ფშაველას ხალხში მ. ხერხეულიძის თაოსნობით ნაშალდეში გაიმართა კვირას, 3 იან. I განყ. ვაჟს სამწერლო მოღვაწეობის შესახებ მოკლე დახასიათება-სიტყვა „ვაჟა—ხალხის სული“: იოსებ იმედაშვილმა; II განყ. ლექსები:—მ. ხე⁴ ხეულიძემ, ბ. ახოსპირელმა, გ. შინატეხელმა და გ. ქუჩიშვილმა; III განყ. „კაკო ყაჩაღი“. IV განყ. „სტოხალი სურათი“. თეატრი ხალხით სავსე იყო. შემოსავალი ქართ. მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად გადაეცემა.

საშურის ძატი. დრამ. წრის გამგეობამ 27 და 29 ქრისტემ. ორი სადღესასწაულო წარმოდგენა გამართა: პირველი საკუთარს სათეატრო შენობაში, მეორე—რკინის გზის საზოგადო საკრებულოში. 27 ქრისტემ. ითამაშეს: „დალბი“ ფარსი 1 მოქმ., და „დღის ერთა“ ვ. გუნიასი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა—საჩუქრებით. 29 ქრისტემ. განზრახული იყო პ. ირეთელის „ბედნიერი დღე“ს დადგმა, პიესაც მომზადებული იყო, მაგრამ ერთ მონაწილე ქალის მოულოდნელი უარის გამო გადაიდო, სამაგიეროდ დაიდგა: „თამარ ბატონიშვილი“-ს უკანასკნელი მოქმ., გუნიას „დაძმა“-ს მე-4 მოქ. ბოლოს ცეკვა ვეროპიული და აზიური. ორივე საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო.

ამ ბოლო დროს, საშურის ქართ. დრ. წრის გამგეობა უშინარსო პიესებით უმასპინძლდება საზოგადოებას, რაც აიხსნება იმ სასწუხარო გარემოებით, რომ წრეს

არა ჰყავს მოთამაშე ქალები, ჩვენი ინტელიგენტი ქალები კი, ცოტას გამოჩაკლისით, სცენას უფრთხიან და მეტ თავისუფალს დროს სადგურზე ატარებენ.

ნიკო გურული

მ. არმაზის ძატიმლოცა თუმცა რიცხვით სამასს აღემატება, დღემდის რალაქ ძილს მისცემოდა, დღემდე მათთვის არ არსებობდა არც სამკითხველო, არც წარმოდგენა ქართულ ენაზე, არც ქართულ უზრნალ-გაზეთები და სხ. წარმოიდგინეთ, დღესაც ზოგიერთებს სამარტხეინოდაც კი მიაჩნიათ თავიანთი თავი ქართველად აღიარონ, იმ დროს, როდესაც მათ უტხო ენაზე ლაპარაკი თითქმის არც კი იციან, გვარებიც გადაკეთებული აქვთ და სხ. ახლახან დაარსდა წ.-კ. გ. ს—ბა ბ. ი. მგელაძის წყალობით. დაარსდა თუ არა წ. კ. ს—ბა, ადგილობრივმა ქართველობამ იწყო ნელ-ნელა შეერთება-შეკავშირება ერთმანეთ შორის, იმავე მგელაძის თაოსნობით შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელმაც მიზნით დაისახა თვეში ორჯელ მართოს ქართული წარმოდგენა და არმაზის განყოფილების ქ. შ. წ.-კ. გ. სახ.—თან ერთად იმოქმედოს. აი, ამ მიზნით სამზადის 22/XII—15 წ. მესნიაკის თეატრის დარბაზში, ობოლ-უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ ი. მგელაძის რეჟისორობით გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის 4 მოქ. ისტ. პიესა „ქართველი დედა“.

როლებში შესრულების მხრივ საუცხოვონი იყვნენ ბ. ბ. ი. მგელაძე (უსუფ-ფაშა), გ. გიორგობიანი (ვახტანგი), დ. მამლაძე (ომარ-ხანი), ბ. ცეცლაძე (პაპუა); ქ.ქ მ კაიშაური (ლეილა), ი. ინაშვილი (მარინე), ა. კოპლატაძე (ფატმა), აგრეთვე გვარიანი იყვნენ ბ. ბ. ე. დათუნაშვილი (ფარსადანი), დ. კარიაული (სულიმან ბეგ). საერთოდ წარმოდგენამ გვარ ანად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. შემოვიდა: ბილეთების გაყიდ. 525 მ. 80 კაპ., შემოწირულება—15 65 კ., ბუფეტმა იგებრა 147 მ. 61 კ. სულ 689 მან. და 06 კაპ., აქედან დაიხარჯა 420 მ. და 42 კაპ. წმინდა დარჩა 268 მ. 64 კ. რომელიც დანიშნულები-სამებრ გადაეცა. დიდი მაღლობის ღირსია ბ. ბ. ი. მგელაძე და სან. კაველაშვილი, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ საზოგადო საქმის ასპარეზზე.

იმედია არმაზის ქართველები უფრო დაინტერესდები ნ და ხელს შეუწყობენ ასეთ დიდებულ საქმეს—ჩვენი ერის კულტურულ წინსვლას. მედგარი

ძატი. კულტურის მოკმ. საზ-ის კრებაზე 26 ქრისტ მრავალი საზ-ის თანასწრებით მ. ხერხეულიძემ წაიკითხა „ქართველი ქალი და აკაკი“, ხოლო ეორდანიამ ისაუბრა ქართულ ადათების შესახებ, რომელმაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მ. ხერხეულიძის მოხსენება ახლო დროში ჩვენს ურნალში დაიბეჭდება.

ქუთაისის „ქართული დრამის“ მეორე თვის განმავლობაში იგივე შემადგენლობა აწარმოებდა საქმეს, რომელიც პირველში. მხოლოდ შესამე თვის დასაწყისს დასიდან გავიდნენ ქბ. შოთაძე და ბ. ზარდალიშვილი. საანგარიშო თვეების განმავლობაში წარმოდგენილ იქმნა: პირველად ქუთაისის სცენაზე — „საფომეს ოჯახის“ რამიშვილის, „ბურუსის“ ჭანტურიშვილის, „მოსე შწვრალი“ (ნინოშვილის სადამოზე წაკითხულ იქმნა გრიშესა და კოსტიუმებში), „უგვირგვინო შეფენი“ შანშიაშვილისა, „მზის საიდუმლო“ გიეკისა, „ვიორჯი III“ გ. შანგაშვილისა 2-ჟერზედი-ზედ. ძველთაგან — „დალატი“ 2-ჟერ, „დაძმა“, „შემევიდრე პრინცი“, „დღეები ჩვენი ცხოვრებისა“, „მადამ სან-ჟენ“, „აღუგან საქებრე-ლას მთავარი“, „გოდრე სვალ, უფალო?“, „ზა. ტარა კახი“, „რცისის საიდუმლო“, „უნიადაგონია“, „დაძირული ზარი“.

ამავე ორი თვის განმავლობაში დასი ორცხის გაემგზავრა ფოთსა და ბათუმს და ორივე მოგზაურობის დროს დიდ ძალი საღისი დაქსწრო მის წარმოდგენებს ორივე ქალაქში. აქ წარმოადგინეს: „მადამ სან-ჟენ“, „დალატი“, „გვამ-ლეტი“, „სამშობლო“, „დღეები ჩვენი ცხოვრებისა“, „გოდრე სვალ, უფალო?“, „უგვირგვინო შეფენი“.

მეორე თვის განმავლობაში ქუთაისში გაიმართა სულ 10 წარმოდგენა. მათ შორის 5 ჩვეულებრივი, 3 იაფ-ფასიანი და 2 საბუნეუთის (ხნდრონიკაშვილის და უაღბაბეგიშვილისა).

შესამე თვის განმავლობაში კი გაიმართა სულ 9 წარმოდგენა. მათ შორის ჩვეულებრივი 4, 2 ფას-მომატეპული (ვიორჯი III, რადგან მისმა წარმოდგენამ თითქმის 400 მ-მდე ხარჯი გამოიწვია) 3-ც იაფ-ფასიანი. ერთი წარმოდგენა სახელდობრ „უნიადაგონია“ დადგმული იყო აუღმუფო მსახიობ გ. შაღიკაშვილის სასარგებლოთ, რომლის წმინდა შემოსავალიც დანიშნულებისამებრ უკვე გადაეცა.

ამ ორი თვის განმავლობაში წმინდა შემოსავალი უდრიდა 2459 მ. 81 კ. აქედან მხოლოდ ფოთსა და განსაკუთრებით ბათუმში ერთი შეორეზე ამხანაგობას შესიძინა 800 მ. წმინდა. საერთო შემოსავალი კი ბათუმისა 2-რე მოგზაურობის დროს სულ 5 წარმოდგენაზე უდრიდა 1965 მ. 05 კ.

ადგილობრივმა პრესამ დიდათ მოაწონა წარმოდგენილ შედეგებში: „უგვირგვინო შეფენი“ შანშიაშვილისა, „ბურუსის“ ჭანტურიშვილისა და „ვიორჯი III“ შანგაშვილისა. — ელი

წვრილი ამბები

➤ **შალვა დადიანი**, ქუთაისის დასის მესვეური, გასულ კვირას თბილისს იყო სათეატრო საქმეზე. სხვათა შორის, ახალი პიესები დაიგულა ქუთაისის სცენაზე დასადგმულად.

➤ **მწიარალი ძალი აზიანი** სწერს ახალს ორიგინალურ 4 მოქ. პიესას „ეკლიან გზაზე“ ქართველ მწიგნობართა ყოფა-ცხოვებიდან.

➤ **ქუთაისის თეატრში** ამ მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება: „ბედის ტრილი“, „მოლიბულ გზაზე“, „ბრძოლის ველი“, „პადუის დედოფალი“ და სხ.

➤ **მანსო აბაშიძე** საგასტროლოდ ქუთაისს გაიწვიეს.

➤ **ელ. ჩიჩქაიშვილის** პატივსაცემლად სადღესაწაულო წარმოდ. ქუთაისის დასიც გამართავს.

➤ **ვალ. გუნიბ** 6 იან. ქუთაისს იყო საგასტროლოდ მეფე ლირის შესასრულებლად.

➤ **„ხარუზის კლუბი“** თუმცა ახალ წელს შეეგება, მაგრამ შესამე დღეს ჯარის საჭაროებისათვის დააცლენინეს. მამასახლისთა საბჭო ცდილობს ახალი ბინა იშოვოს.

➤ **დუბუ მგვრალმა** თავისი ახალი 8 მოქმ. დრამა-პოემა „პრომეთეი“ ქართ. კულტ. საზ. თაოსნობით საჯაროდ წაიკითხა 4 იან. ხალხი მრავალი დაესწრო. პოემის წაკითხვის შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი პოემა შინაარსიანი, სიყურადღებო. ავტორს განზრახვა აქვს შეასწოროს და შემდეგ დაბეჭდ.

➤ **კ. ბალმონტმა** მოსკოვში რუსთველის სალამო გამართა. დაწერილებით შემდეგ.

➤ **ნინო დავითაშვილი** საგასტროლოდ ქუთაისს ეწვევა 24 იან. „პადუის დედოფალი“ მონაწილეობის მისაღებად.

➤ **არმაზირში** ნინობას 14 იან. გაიმართება აკაკის სალამო.

➤ **ვლ. ალ.-მისნიშვილის** მონაწილეობით სინემატოგრაფის ლენტზე გადაღებულია ტურგენევის „მამები და შვილები“ და უკვე რუსეთში ყველგან აჩვენებენ.

➤ **„თეატრი და ცნობება“ გაუშვან:** 1) ალ. გარსევანიშვილმა ქუთაისის რუსთაველის სამკითხველს; 2) თბ. სვეტის“ მოსამსახურებმა—სოფ. ტამაკონის მომხმარ. საზ. „სინათლე“-ს. 3) ნიკიფორე ჩხარტიშვილმა—ძიმითის სამკითხველს (გურიასი).

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის

„სახალხო ფურცელი“

ვაზეთი. სურათები 5 დამატებით ღირს წელიწადში 9 მ. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ., ავით 90 კ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერას ღირს 3 მ. 50 კ. პირ. ივლის. 2 მ. და პირვ. ენკენ, 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერ. ღირს დილის 9 ს. ნაშუად. 3 ს. და საღ. 6—8 ს. წლიური ხელის მოწერანი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ პრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაახლოებით შემდეგი: 1. ამი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ამის წინა და ოშში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ამის მიმოხილვა საპრემიო თხზულების ავტორები: კ. აბაშიძე, ი. გუდუფანიშვილი, გ. გუგუჩიაშვილი, გ. ჯანსიანიშვილი, გ. შაიანიშვილი, გ. რეხიანიშვილი, ს. ფირცხაიანი, გ. ქიქოძე, თ. ლომიძე, ა. ჯანანიშვილი.

მისამართი: ტფილისი „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სახალხოს ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.

სემინის მოცულობა-მეცხრამეტე საუკუნეადრდებოდ:
 И. Т ПОЛУМОРДВИНОВЪ.
Списокъ пьесъ
 На ГРУВИНСКОМЪ ЯЗЫКЪ,
 Разрѣш. въ предствѣл. на сцен. Каен. Крап. и 40 гол.
 Тифлисѣ. Иезуитскій Комитетъ

გაზეთის და-
 უნაწილად და-
 ხარ. ვაზეთი
სახალხო ფურცელი
 ვაზეთის და-
 უნაწილად და-
 ხარ. ვაზეთი
 ვაზეთის და-
 უნაწილად და-
 ხარ. ვაზეთი

ნაკადული დასურათებულ
 საუფასო
 უფასო. წელიწადი მეთორმეტე, გამოსა ხეუ-
 ლებრივ პრემიამთ, სავანებოდ მოწვეულ სარე-
 დაქცით კომისიის სექსმდევანელობით, **თვაში**
ორჯელ 24 წიგნი მცირე **12** წიგნი მოს-
 წლავანათავის. **12** რდილთავის
 ეთველ წიგნის პირველ ტვერდზე იქნება
 მოთავსებული გამაჩენილი მხატვართა ნახატი.
 ფასი: წლიურად ორივე გამოსა—5 მ. (ვინც
 უფრადს რედაქციაში მოაკითხავს), გავგაფიან 6 მ
 ნახევარ წლით—3 მ. გავსაგ. 3 მ **50** კ. ცა-
 ცაგე: მცირე წლავანათავის **24** წიგნი—3 მ.
 გავსაგნით **3—50** კ. მოსწავლთათვის **12** წიგნი
 —**3** მ. გავსაგ. **3** მ. **50** კ. ფულის შემოტანა
 შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ნომრები „პერიოდიკი“
 ახლად შექმნილი, საუცხოოდ მოწერ-
 ბილი, სუფთა, ელემენტარის სინთოლით
 ქალქის უფავუს, ვორცისკოის ძეგლიან.
ნომრები ოთხი აბაზიან. ნომრები სამს-
 რეული, ცხელი და ცივი წელით (დუმი და
 ანა). თბ. მიხ. პი. № 6. ტელ. 13—14 (წ)

სახალხო ფურცელი
 1890 წ. გამოსა 1916 წ. თვეში კონსტანტინე
 შუჩნაძე ორი ტვერდებია: მატარებლისთვის
 და მოზრდილთათვის ფასი თბილისში **4** მ.,
 ქაქაქა გავსაგნით **5** მ. ნახევარ წლით
3 მ., ცალკე ნაშეი **40** კან. ხელის მოწერა
 მიიღება: თბილისში—**4** მ. 50 კ., რედაქციაში,
 (ფოსტით: ვა. ტაფის ვა. რედ. გრუვინსკო
 ჟურნალ „Иезуити“)

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—
 „ნაკადული“ რედაქციაში, სუბლასეილის სახ-
 ლი კოლფინის პრ. № 8 (Ред. „Накадули“,
 Головинский пр № 8), შემოსავალი დავა-
 თის ქ., № 2. და წ. კ. წიგნის მდარიაში,
 სახალხო ქ. ქუთაისში—ის. კვერცხისთან,
 მ. კუხიშვილთან და თ. მთავრიშვილთან.
 ბათოში—ტრ. ინსანოძესთან, ფოთში, და
 ან. ლომიძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში
 —ლო მინაძესთან. თელავში—გ. შატაშვილთან,
 ახალციხეში—კ. გვარამაძესთან, ბაქოში—მ. ნაკა-
 შიძესთან. ვორში—ქ. ჯავახიშვილთან და ნ.
 დომოურთან. ქიათურაში—გ. გომელაურთან.
 ხონში—მ. ი. ჭავჭავაძესთან.
 რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
 გამომცემელი. თ. პავ. იოს. თუმანიშვილი.

სამხედრო ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე.
 ანა-
კეთილი
 კარგობა. ა. ს.
 ახალციხისთან.

20-й г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1916 годъ. 20-й г. изд.

НА

Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книгъ Библиотекы, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣлъ „Эстрада“, заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Найденовъ—„Работница“, комъ въ 4 д.; Л. Урванцовъ „Вѣра Мирцева“, пьеса въ 4 д. С. Шиманскій—„Кровь“, драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польскіе евреи“, пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходящіе боги“, пьеса 4 д.; Д. Айзманъ—„Лѣтній романъ“ пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша“, пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Актриса Ларина“, пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб.
Разсрочка при подп. 4 р. къ 1 апрѣля—3 р.,
къ 1 юня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.

На мѣсяць безъ приложеній — 65 коп.

Гл. контора: Петроградъ, Вознесенскій пр., д. 4. Телеф. 16—69.

Подпис. цѣна:
голь 7 р.—к.
1/2 г. 3 . 50
3 м. 1 . 75
1 м. — 60
За гран. вдвое
Допускается
разсрочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей „РАМПА И ЖИЗНЬ“ Л. Г. Мунд и (Lolo).

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

Бесплатная премія для годовыхъ подписчиковъ:

галлерей сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1916 гг. Томъ П-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, каррикатуръ и проч. Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральнхъ центрахъ. 52

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлерей“, доплачиваютъ 1 р. 75 к.

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58-25. Контора открыта еженед. кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 11—4 часовъ дня. ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской и К^о (Петровскія Линіи), въ книжн. маг.: „Новое Время“ (въ Петрогр., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. В. Бессель и К^о (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ.) кн. маг. Л. Изидовскій (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор. Москвы и провинціи. МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЯ ПО ТЕЛ. 2-58-25.

შეიქმედებული სპეციალური 1916 წ.

თეატრი და ხელოვნება

Доволнено Военной Цензурой - სტამბა „სტადანტი“